6. სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (*Master Program in Sociology)*

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სოციოლოგიის მაგისტრი *(MA in Sociology)*

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი.

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

- <u>**მიზანი:**</u> სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სოციოლოგიაში (აგრეთვე, ზოგადად, სოციალურ მეცნიერებებში) ბაკალავრიატის დონეზე შეძენილი ზოგადი განათლების კონკრეტული და სიღრმისეული გაფართოება როგორც სოციალურ-თეორიული, ისე, სოციოლოგიური კვლევის ემპირიული მეთოდების მიმართულებით. სამაგისტრო პროგრამის ერთიანობას უზრუნველყოფს კურსების სტრატეგიული კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის რელევანტური სავალდებულო და არჩევითი კურსები, რომლებიც მაგისტრატურის დონეზე სოციოლოგიის კურიკულუმს კოცეპტუალურად ადეკვატურად ხდის.
- <u>**შედეგი:**</u> პროგრამის დასრულების შემდეგ სოციოლოგიის მაგისტრი უნდა ფლობდეს: ა) ღრმა ცოდნას თანამედროვე სოციოლოგიის ძირითად თეორიებსა და კვლევის მეთოდებში; ბ) სრულფასოვანი ემპირიული კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს, (ანუ უნდა შეეძლოს თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატური გამოყენება საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების შესწავლისთვის); გ) პრობლემურ სიტუაციებში გარკვევის, მათი დამოუკიდებელი გადაჭრის გზების უნარ-ჩვევებს
- <u>**დასაქმების სფეროები:**</u> სოციოლოგის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეეძლება სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელება დოქტურანტურაში, კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობა როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ისე, კერძო და არასამთავრობო სექტორებში.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- ბაკალავრის ხარისხის (ან ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომის) ფლობა ნებისმიერ სპეციალობაში (ასეთი შეუზღუდავობა გამართლებულია იმ პირობებში, როდესაც მაგისტრატურაში შესვლის მსურველი აბარებს მისაღებ გამოცდებს).
- ბაკალავრიატში (ან ერთსაფეხურიან სწავლებაში) აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელი არ უნდა იყოს 4 ქულაზე ნაკლები.
- რომელიმე მითითებული უცხო ენის (ინლისური, გერმანული, რუსული, ფრანგული) ცოდნა, სულ მცირე, B2 დონეზე მაინც. ეს დონე უნდა დადასტურდეს შესაბამისი სერთიფიკატით, ან უცხო ენაში გამოცდის შედეგად.

ზემოაღნიშნულის გარდა, სასტარტო პირობები მაგისტრატურის ყველა მსურველისთვის თანაბარია. მაგისტრატურაში მიღება განხორციელდება ღია კონკურსის წესით, სპეციალობაში ტესტირების (წერითი გამოცდა) საფუძველზე. მისაღები გამოცდების შედეგები არის დიფერენცირების ძირითადი ინდიკატორი.

<u>**სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის საგამოცდო საკითხები**</u>

1. სოციოლოგიის საგანი და მისი დაფუძნების სირთულეები

2. სოციოლოგიის მიმართება სხვა სოციალურ დისციპლინებთან
3. საზოგადოების ცნება და მისი ანალიზი
4. საზოგადოების ტიპოლოგიზაცია (ღია და დახურული, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული, "გემაინშაფტი" და "გეზელშაფტი" და სხვ.)
5. ძირითადი სოციალოგიური თეორიები და მათი კლასიფიკაციის კრიტერიუმები
6. სოციალური სტრუქტურა, სოციალური სტრუქტურის თეორიები
7. ელიტის ცნება, ელიტური ჯგუფების გამოყოფის პირობები
8. კულტურა, სუბკულტურა, კონტრკულტურა
9. დევიაცია/დელინკვენტობა, დევიაციის ტიპები
10. სოციალური სტრატიფიკაცია, სტრატიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები
11. სოციალური მობილობა, მისი ტიპები
12. სოციალური სტატუსი და სოციალური როლი
13. კლასიკური სოციალური თეორია (ე. დიურკემი, მ. ვებერი, ტ. პარსონსი)
14. თანამედროვე სოციალური თეორია (სიმბოლური ინტერაქციონიზმი (ჯ. მიდი), ეთნომეთოდოლოგია (ჰ. გარფინკელი და ი. გოფმანი), სინთეზური თეორიები (პ. ბურდიე, ე. გიდენსი) და სხვ.)
15. პოსტმოდერნული სოციალური თეორია (ჟ. ფ. ლიოთარი, მ. ფუკო და სხვ.)
16. სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები (ფოკუს-ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუ, ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ, დაკვირვება და სხვ.)
17. სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები (გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი და სხვ.)
18. შერჩევა სოციოლოგიურ გამოკვლევაში. შერჩევის ტიპები
19. გაზომვა სოციოლოგიურ გამოკვლევაში; გაზომვის სკალები
20. მონაცემთა ანალიზის მეთოდები (ერთგანზომილებიანი სტატისტიკა, კორელაცია, რეგრესია და სხვ.)

ლიტერატურა:

1. ედუარდ კოდუა, *სოციოლოგია*, ნაკვ. I-II, თბ., თსუ, 1995.
2. იაგო კაჭკაჭიშვილი, *სოციალური მოქმედების თეორიები*, თბ., მეცნიერება, 2001.
3. ამირან ბერძენიშვილი, *პოლიტიკური სოციოლოგია*, თბ., 1999.
4. ნინო დურგლიშვილი, სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზი, თბ., 2006
5. *სოციოლოგიური კვლევის მეთოდები* (ავტორთა ჯგუფი), თბ., თსუ, 1998
6. ნ. სმელზერი, *სოციოლოგია,* მოსკოვი, 1994 (რუსულ ენაზე)
7. ე. გიდენსი, სოციოლოგია, მოსკოვი, 1999 (რუსულ ენაზე)
8. ჯ. რიტცერი, თანამედროვე სოციალური თეორია, მოსკოვი, 2005.